სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 თებერვალი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს დადგენილება № 06-01/17

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის „თერაპიული სტომატოლოგია“ და სპეციალიზაციის პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“ განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, „დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№27-05/13, 13.10.2025) ამონაწერისა და დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 26 0000061363, 23.01.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის **ფაკულტეტს მიეცეს თანხმობა** რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის **„თერაპიული სტომატოლოგია“** <u>განხორციელების უფლების მოსაპოვებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე</u> (სწავლის ხანგრძლივობა - **11 თვე; პროგრამის მოდულები,** წინამდებარე დადგენილების **N1 დანართის** შესაბამისად.

2. ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის **„თერაპიული სტომატოლოგია“** <u>**ხელმძღვანელად დამტკიცდეს**</u> ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი** (მედიცინის დოქტორი, საექიმო სპეციალობით - „თერაპიული სტომატოლოგია“) <u>**მზია ბაქრაძე** და მასთან გაფორმდეს **წინარე** შრომითი ხელშეკრულება.</u>

3. **ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და დეკანი) **ადმინისტრირებით და თანხმობით,** <u>პროგრამის ხელმძღვანელის მიერ **უზრუნველყოფილი იქნეს**</u> სარეზიდენტო

პროგრამის „თერაპიული სტომატოლოგია“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოში (შემდგომში – საბჭო) წარსადგენად, პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის მომზადება და სხვა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.

4. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის **თერაპიული სტომატოლოგია“ განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს მიეცეს თანხმობა განახორციელოს ბსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების **სპეციალიზაციის პროგრამა „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“** (წინამდებარე დადგენილების **N2 დანართი)** და პროგრამის ადმინისტრირების მიზნით (პერსონალის მოწვევა, ცვლილება, საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტის დამტკიცება და სხვა) გამოიცეს ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტები, მართვის ორგანოთა კომპეტენციის შესაბამისად.

5. წინამდებარე დადგენილებაში აღნიშნული სარეზიდენტო პროგრამის და **სპეციალიზაციის** პროგრამის **ბიუჯეტი** (პირველადი ხარჯთაღრიცხვა) დამტკიცდეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, **პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით** (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (N07-01/04, 19.02.2025 წ.) დამტკიცებული ,,ბსუ-ს მოკლევადიანი და სარეზიდენტო პროგრამების პირველადი ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის წესის“ შესაბამისად.

6. ამ დადგენილებაში აღნიშნული წინარე შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების ორგანიზება განხორციელდეს (ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისათვის პროგრამის პერსონალის საკონტაქტო ინფორმაციის, წარმოსადგენი პირადი დოკუმენტაციის და სხვა ინფომრაციის/დოკუმენტაციის მიწოდება): შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებით და კოორდინირებით - პროგრამის ხელმძღვანელთან, ხოლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებთან - ასევე პროგრამის ხელმძღვანელის ორგანიზებით.

7. ,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის **„თერაპიული სტომატოლოგია“** განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის **N06-01/140 დადგენილება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.**

8. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

9. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს (დეკანს, მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტს; ბსუ-ს სტომატოლოგიურ კლინიკას ,,ბსუ დენტი“ და პროგრამის ხელმძღვანელს (მ. ბაქრაძე), იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

10. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**

,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის „თერაპიული სტომატოლოგია“ და სპეციალიზაციის პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“ განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №06-01/17 დადგენილების
№1 დანართი

	ბსუ-ს ,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამა **„თერაპიული სტომატოლოგია“**				
	ხანგრძლივობა -**11 თვე**				
	პროგრამის ხელმძღვანელი: **<u>მზია ბაქრაძე -</u>** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი** (მედიცინის დოქტორი, საექიმო სპეციალობით - „თერაპიული სტომატოლოგია“)				
	მოდულის დასახელება	**მოდულის ხანგრძლივობა**	**მოდულზე პასუხისმგებელი პირი (პირები)**	**ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში დაკავებული პოზიცია** (შრომითი ხელშეკრულება)	**შენიშვნა** (გასაფორმებელია პირობითი ხელშეკრულება ან სხვა)
1	მოზრდილთა და ბავშვთა ოპერაციული ოდონტოლოგია და კბილთა რესტავრაცია	4 თვე	1. ნათია ქადეიშვილი 2. მარინე ავალიანი 3. სოფიკო დავითაძე 4. მარიამ გოგოტიშვილი 5. მარინე გათენაძე	1. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი 2. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი 3. ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი 4. ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი. 5. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი, შპს ,,მედია ბელუს“-ის ბავშვთა და მოზრდილთა თერაპევტ-სტომატოლოგი.	
2	მოზრდილთა და ბავშვთა ენდოდონტია	4 თვე	1. ნათია ქადეიშვილი 2. მარინე ავალიანი 3. სოფიკო დავითაძე 4. მარიამ გოგოტიშვილი 5. მარინე გათენაძე	1. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი 2. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი 3. ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი 4. ბსუ-ს ასისტენტ პროფესორი.	

				5. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი, შპს ,,მედია ბელუს“-ის ბავშვთა და მოზრდილთა თერაპევტ-სტომატოლოგი.	
3	მოზრდილთა და ბავშვთა პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები	3 თვე	1. ნათია ქადეიშვილი 2. მარინე ავალიანი 3. სოფიკო დავითაძე 4. მარიამ გოგოტიშვილი 5. მარინე გათენაძე	1. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი 2. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი 3. ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი 4. ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი. 5. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი, შპს ,,მედია ბელუს“-ის ბავშვთა და მოზრდილთა თერაპევტ-სტომატოლოგი.	
სულ		11 თვე			

,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის „თერაპიული სტომატოლოგია“ და სპეციალიზაციის პროგრამის „ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“ განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №06-01/17 დადგენილების N2 დანართი

	ბსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების **სპეციალიზაციის** პროგრამა **„ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია“** (შემუშავდება და განხორციელდება ,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის „თერაპიული სტომატოლოგია“ აკრედიტაციის ფარგლებში)				
	ხანგრძლივობა -**3 თვე**				
	პროგრამის ხელმძღვანელი: <u>**მზია ბაქრაძე -**</u> ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის **პროფესორი** (მედიცინის დოქტორი, საექიმო სპეციალობით - „თერაპიული სტომატოლოგია“)				
	შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა	**მოდულის ხანგრძლივობა**	**მოდულზე პასუხისმგებელი პირი (პირები)**	**ბსუ-ში ან/და სხვა დაწესებულებაში დაკავებული პოზიცია (შრომითი ხელშეკრულება)**	**შენიშვნა** (გასაფორმებელია პირობითი ხელშეკრულება ან სხვა)
1	ბავშვის ფსიქოლოგიური მომზადება ასაკისა და ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით. სტომატოლოგიური გამოკვლევა. პირის ღრუს ჰიგიენის ინდექსების გამოთვლა. კარიესის პროფილაქტიკის საშუალებები. პაროდონტის ქსოვილების მდგომარეობის განსაზღვრა პაროდონტული ინდექსების (PMA, CPITN) საშუალებით.	1 თვე	1. ნათია ქადეიშვილი 2. მარინე ავალიანი 3. სოფიკო დავითაძე 4. მარიამ გოგოტიშვილი 5. მარინე გათენაძე	1. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი (ექიმი-სტომატოლოგი) 2. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი (ექიმი-სტომატოლოგი) 3. ბსუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი (ექიმი-სტომატოლოგი) 4. ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი (ექიმი-სტომატოლოგი) 5. ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი, შპს ,,მედია ბელუს“-ის ბავშვთა და მოზრდილთა თერაპევტ-სტომატოლოგი.	
2	არაკარიესული წარმოშობის დაავადებების ზოგადი და ადგილობრივი მკურნალობა. კარიესისა და მისი გართულებული ფორმების (პულპიტი, პერიოდონტიტი) მკურნალობა	1 თვე			

3	პაროდონტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ენისა და ტუჩის დაავადებების ზოგადი და ადგილობრივი მკურნალობა	1 თვე			
სულ		**3 თვე**			